

ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც მოქმედებს  
„ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის“

სახით

და

საბარტველოს მთავრობას

შორის დადებული

„ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის“

პირველი შესწორება

## „ათასწლეულის განვითარების კომპაქტის“

### პირველი შესწორება

„ათასწლეულის განვითარების კომპაქტის“ წინამდებარე პირველი შესწორება (შემდგომში „შესწორება“), დათარიღებული [\_\_\_\_\_ -ით], გაფორმებულია „ათასწლეულის განვითარების კორპორაციის“ - შეერთებული შტატების სამთავრობო კორპორაციის (შემდგომში „MCC“) - მეშვეობით მოქმედ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) შორის (ცალ-ცალკე მოიხსენიებიან „მხარედ“, ხოლო ერთობლივად - „მხარეებად“). წინამდებარე შესწორებაში გამოყენებულ ყველა ტერმინს, რომელიც არ არის განმარტებული, გააჩნია ამ ტერმინებისთვის კომპაქტში (განსაზღვრულია ქვემოთ) მინიჭებული მნიშვნელობა.

### პრეამბულა

306აიღან 2005 წლის 12 სექტემბერს მხარეებმა ხელი მოაწერეს „ათასწლეულის განვითარების კომპაქტს“ MCC-ს მეშვეობით მოქმედ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მთავრობას შორის (შემდგომში „კომპაქტი“), რომლის თანახმად MCC გამოყოფს სახელმწიფოსთვის გრანტის სახით, კომპაქტის დებულებებისა და პირობების შესაბამისად, თანხას, რომელიც არ აღემატება ორას ოთხმოცდათხუთმეტ მილიონ სამას ათას (295,300,000) აშშ დოლარს, საქართველოში ეკონომიკური განვითარების გზით სიღარიბის დაძლევის პროგრამის განსახორციელებლად;

306აიღან გლობალური მასშტაბით ადგილი აქვს მშენებლობის ღირებულების ზრდას და ვალუტის მერყეობას, რამაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, რამდენიმე პროექტთან დაკავშირებით გამოიწვია კომპაქტის მიერ ნავარაუდები საწყისი ხარჯების გადაჭარბება, რაც მოითხოვს ამ პროექტების დასრულების მიზნით მათი მოცულობის სათანადო შემცირებას;

306აიღან MCC ამჯერად გამოთქვამს მზადყოფნას, მთავრობისთვის გამოყოს დამატებითი დაფინანსება იმ ოდენობით, რომელიც არ აღემატება ას მილიონ (100,000,000) აშშ დოლარს, რათა დაიფაროს ამ პროექტების საწყის ბიუჯეტში არსებული დეფიციტი და შესაძლებელი გახდეს პროექტების დასრულება კომპაქტით გათვალისწინებულ ვადებში, და პრეტენციურად დაფინანსებული იქნეს დასახული ამოცანების შესაბამისი ახალი პროექტები (შემდგომში „დამატებითი დაფინანსება“), და

306აიღან მხარეებს სურთ კომპაქტის ზოგიერთი ნაწილის შესწორება, რაც უფრო სრულად არის აღწერილი წინამდებარე დოკუმენტში დამატებითი დაფინანსების საბოლოოდ გაფორმების მიზნით,

ზემოხსენებულის და წინამდებარე დოკუმენტსა და კომპაქტში ჩამოყალიბებული ერთობლივი ვალდებულებებისა და შეთანხმებების გათვალისწინებით, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

## შესწორებები

### 1. 2.1(ა) ნაწილის შესწორება

კომპაქტის 2.1(ა) ნაწილი („MCC-ს შენატანი“) უნდა შესწორდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

(ა) MCC-ს შენატანი წინამდებარე კომპაქტის პირობების შესაბამისად MCC წინამდებარე კომპაქტის ვადის პერიოდში გამოუყოფს მთაერობას თანხას, რომელიც არ აღემატება სამას ოთხმოცდათხუთმეტ მილიონ სამას ათასს (395,300,000) აშშ დოლარს („MCC-ს დაფინანსება“), რათა მთაერობას მიეცეს შესაძლებლობა, განხორციელოს პროგრამა და მიაღწიოს დასახულ მიზნებს.

### 2. 5.1 ნაწილის შესწორება

კომპაქტის 5.1 ნაწილი („კომუნიკაციები“) უნდა შესწორდეს შემდეგნაირად: (i) „ფონდი – ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ („ემ-სი-ჯი“-ს) სახელზე გასაგზავნი საინფორმაციო შეტყობინებიდან ამოღებული უნდა იქნეს ტექსტი, რომელშიც წერია „ელ.ფოსტა: [lashanidze@mcc.ge](mailto:lashanidze@mcc.ge)“, და (ii) უნდა შეიცვალოს MCC-ს სახელზე გასაგზავნი საინფორმაციო შეტყობინების ტექსტი შემდეგით:

MCC-ს:

„ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია“

ვიცე-პრეზიდენტს კომპაქტის განხორციელების დარგში

(ასლი: ვიცე-პრეზიდენტს და მთავარ იურისტს)

მისამართი: 875 მეთხუთმეტე ქუჩა, ჩრდ.-დას.

ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი 20005

ამერიკის შეერთებული შტატები

ტელეფონი: +1 (202) 521-3600

ფაქსი: +1 (202) 521-3700

ელ.ფოსტა: [VPImplementation@mcc.gov](mailto:VPImplementation@mcc.gov) (ვიცე-პრეზიდენტი კომპაქტის

განხორციელების დარგში);

[VPGeneralCounsel@mcc.gov](mailto:VPGeneralCounsel@mcc.gov) (ვიცე-პრეზიდენტი და მთავარი იურისტი)

### 3. 5.2 ნაწილის შესწორება

კომპაქტის 5.2 ნაწილი („წარმომადგენლები“) უნდა შეიცვალოს შემდეგნაირად: პირველი წინადადებიდან ამოღებული უნდა იქნეს ფრაზა: „ქვეყნების პროგრამების ვიცე-პრეზიდენტი“ და მის ნაცვლად დაფიქსირდეს „ვიცე-პრეზიდენტი კომპაქტის განხორციელების დარგში.“

### 4. 5.11 ნაწილის შესწორება

კომპაქტის 5.11 ნაწილი („ხელმოწერები“) უნდა შესწორდეს შემდეგნაირად: პირველი წინადადებიდან ამოღებული უნდა იქნეს ფრაზა: „გარდა წინამდებარე კომპაქტის ან 5.3 მუხლის შესაბამისად მასში განხორციელებული ცვლილებების ხელმოწერისა“.

5. „ა“ დანართის შესწორება

კომპაქტის დანართი „ა“ („განმარტებები“) უნდა შესწორდეს კომპაქტის, „ათასწლეულის გამოწვევის ანგარიშისა“ და „ძირითადი წარმომადგენლის“ განმარტებების შესწორებისა და მათი ხელახალი ფორმულირების მეშვეობით, რომლებიც იკითხება შემდეგნაირად:

კომპაქტი ნიშნავს „ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტს“, დადებულს „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის“ მეშვეობით მოქმედ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს მთავრობას შორის, რომელიც დროდადრო განიცდის შესწორებას ან სხვაგვარ მოდიფიცირებას.

„ათასწლეულის გამოწვევის ანგარიში“ ნიშნავს ათასწლეულის გამოწვევის ანგარიშს.

ძირითადი წარმომადგენელი გამოიყენება იმ მნიშვნელობით, რომელიც ჩამოყალიბებულია 5.2 ნაწილში.

6. 1-ლი დანართის 1-ლი განრიგის შესწორება.

7. კომპაქტის 1-ლი დანართის 1-ლი განრიგის (რეგიონული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი) უნდა შესწორდეს 2(ა)(i) ნაწილის შესწორებისა და მისი ხელახალი ფორმულირების მეშვეობით და უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

(i) ქვესაქმიანობა. MCC-ს დაფინანსება გამოყენებული იქნება ქვემოთ მითითებული გზის მონაკვეთების რეაბილიტაციის ან მშენებლობის მიზნით („საპროექტო გზა“) (როგორც საჭიროა), აგრეთვე (ა) საპროექტო გზის პროფილის გასწვრივ არსებული ხიდების რეაბილიტაციისა და გაუმჯობესების, (ბ) გზის პროფილის გასწვრივ არსებული სადრენაჟო მოწყობილობების გაუმჯობესების მიზნით, (გ) გზის უსაფრთხოების მოწყობილობებისა და (დ) ადგილობრივი მისასვლელი გზებისა და დამხმარე ნაკვეთების უზრუნველსაყოფად:

- (1) თელეთი-კოდა-წალკა;
- (2) წალკა-ნინოწმინდა;
- (3) ნინოწმინდა-სომხეთის საზღვარი;
- (4) ახალქალაქი-თურქეთის საზღვარი; და
- (5) ხერთვისი-ვარძია.

8. II დანართის ა ჩანართის შესწორება

კომპაქტის II დანართის ა ჩანართი (ძრავალწლიანი ფინანსური გეგმა) უნდა შესწორდეს დოკუმენტის ბოლოს ახალი ცხრილის ჩასმის მეშვეობით, რომელიც წაკითხება ისე, როგორც ჩამოყალიბებულია წინამდებარე შესწორების I დანართში. ცხრილი განმარტავს დამატებითი დაფინანსების გამოყოფას და ერთვის II დანართის ა ჩანართში არსებულ ინფორმაციას.

## ზოგადი დებულებები

### 9. შემდგომი გარანტიები.

ყველა მხარე ამით კისრულობს ვალდებულებას და თანახმაა, ნებისმიერი შემდგომი განხილვის აუცილებლობის გარეშე, შეასრულოს და წარმოადგინოს ნებისმიერი და ყველა ის შემდგომი დოკუმენტი და გაატაროს ნებისმიერი და ყველა ის ღონისძიება, რომელიც შესაძლოა საჭირო ან მართლზომიერი იყოს წინამდებარე შესწორების არსისა და მიზნების განსაზოცილებლად.

### 10. წინამდებარე შესწორების ძალაში შესვლა.

შესწორების ძალაში შესვლის თარიღიდან დაწყებული და მას შემდეგ (როგორც ქვემოთ არის მითითებული) კომპაქტი და წინამდებარე შესწორება წაკითხული უნდა იქნეს ერთიანად და განხილული, როგორც ერთიანი დოკუმენტი. კომპაქტში „კომპაქტის“ „შესაბამისად“, „აქედან გამომდინარე“ ან მსგავსი მნიშვნელობის სიტყვების ყოველი მოხსენიება კომპაქტთან დაკავშირებით და „კომპაქტის“ „შესაბამისად“, „აქედან გამომდინარე“ ან მსგავსი მნიშვნელობის სიტყვების ყოველი მოხსენიება ნებისმიერ დამატებით ხელშეკრულებაში ან სხვა რომელიმე დოკუმენტში ან ინსტრუმენტში, რომელიც წარმოდგენილია კომპაქტის ან ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულების შესაბამისად, უნდა გულისხმობდეს და იქნეს განხილული როგორც კომპაქტის (წინამდებარე შესწორების გათვალისწინებით) მოხსენიება.

### 11. შეზღუდვები

გარდა წინამდებარე შესწორებით გათვალისწინებული სპეციალური შესწორებებისა, კომპაქტის ყველა დებულება რჩება უცვლელი და ინარჩუნებს სრულ იურიდიულ ძალას.

### 12. შესწორების ძალაში შესვლის თარიღი.

წინამდებარე შესწორება ძალაში შედის მხარეების ძირითად წარმომადგენელთა შორის კორესპონდენციის გაცვლისას გაგზავნილი ბოლო წერილის თარიღზე. კორესპონდენცია შეიცავს დასტურს იმისა, რომ ყველა მხარემ შეასრულა წინამდებარე შესწორების კანონიერ ძალაში შესასვლელად საჭირო ადგილობრივი მოთხოვნები (მათ შორის მე-12 პუნქტში ჩამოყალიბებული მოთხოვნები), და როგორც მთავრობამ, ისე MCC-მ დააკმაყოფილეს მე-13 პუნქტში ჩამოყალიბებული ყველა პირობა („შესწორების ძალაში შესვლის თარიღი“).

### 13. ადგილობრივი მოთხოვნები.

წინამდებარე შესწორების დადებისთანავე მთავრობა დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს შესწორების ადგილობრივი რატიფიკაციის მოპოვებას, საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილი და გათვალისწინებული წესით, ან მსგავსი ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, იმისათვის, რომ: (ა) წინამდებარე შესწორება მიჩნეული იქნეს საერთაშორისო ხელშეკრულებად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, (ბ) ამ შესწორების ყოველი დებულება იყოს კანონიერი, სავალდებულო და სრულ ძალაში საქართველოს კანონმდებლობის თანახმად და (გ) კომპაქტმა, შესწორებული სახით, შეინარჩუნოს საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსი და ძალაში დარჩეს, იყოს სავალდებულო და სრულ ძალაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამ

შესწორებაში არსებული ნებისმიერი საპირისპირო მოსაზრების მიუხედავად, წინამდებარე მე-12 პუნქტი დროებით გამოიყენება ძალაში შესვლის თარიღის დადგომამდე.

#### 14. შესწორების ძალაში შესვლის წინაპირობა.

წინამდებარე შესწორების ძალაში შესვლის წინაპირობის სახით მთავრობამ უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

(ა) სერტიფიკატი, რომელიც ხელმოწერილი და დათარიღებულია მთავრობის ძირითადი წარმომადგენლის ან MCC-სთვის მისაღები, სათანადო უფლებამოსილების მქონე მთავრობის სხვა წარმომადგენლის მიერ, რომელიც:

(i) ადასტურებს, რომ მთავრობამ დააკმაყოფილა ყველა ადგილობრივი მოთხოვნა, რათა წინამდებარე შესწორება სრულად იყოს განხორციელებადი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; და

(ii) ურთავს სხვადასხვა დოკუმენტს და ადასტურებს, რომ ყველა დართული დოკუმენტის: განკარგულების, საკანონმდებლო აქტის, მარეგულირებელი ან სხვა სამთავრობო დოკუმენტის ასლი, რომელიც უკავშირდება წინამდებარე შესწორების ძალაში შესასვლელად საჭირო ადგილობრივი მოთხოვნების დაკმაყოფილებას და მე-12 პუნქტის შესრულებას, რომელიც MCC-მ შესაძლოა განათავსოს თავის ვებგვერდზე ან გამოაქვეყნოს სხვა რაიმე საშუალებით, ნამდვილია, სწორი და სრული.

(ბ) წერილობითი განცხადება, რომელიც შეიცავს წინამდებარე შესწორების განმახორციელებელი ძირითადი წარმომადგენლის ვალდებულებებს და ხელმოწერის ნიმუშს, ხელმოწერილი ძირითადი წარმომადგენლის გარდა მთავრობის მიერ სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი სხვა თანამდებობის პირის მიერ.

#### 15. ინგლისური ენა.

შესწორება მომზადებული და გაფორმებულია ინგლისურ ენაზე. ორაზროვნებისა და ამ ოფიციალურ ინგლისურენოვან ვარიანტსა და ნებისმიერ ენაზე მხარეების სურვილით შესრულებულ მის თარგმანს შორის შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, წინამდებარე ინგლისურენოვან ვარიანტს ენიჭება უპირატესობა.

#### 16. მოქმედი კანონმდებლობა.

მხარეები აღიარებენ და თანხმდებიან, რომ წინამდებარე შესწორება წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებას, დადებულს კომპაქტის შესწორების მიზნით, შესაბამისად, იგი განიშარტება ისე, როგორც ეს შეესაბამება კომპაქტს, და რეგულირდება საერთაშორისო კანონმდებლობის პრინციპებიდან გამომდინარე.

#### 17. ასლები

წინამდებარე შესწორება შეიძლება გაფორმდეს ასლების სახით და ყოველი მათგანი წარმოადგენს ორიგინალს, ხოლო ერთობლივად – ერთ ინსტრუმენტს.

**18. დროებითი გამოყენება**

წინამდებარე შესწორების ხელმოწერისთანავე მხარეები დროებით გამოიყენებენ ამ შესწორებას შესწორების ძალაში შესვლის თარიღის დადგომამდე.

**ხელმოწერები შემდეგ ბვერზეა მოცემული**

დასტურად ზემოხსენებულისა ჩვენ, ქვემოთ ხელმოწერმა, შესაბამისი მთავრობების მიერ სათანადოდ უფლებამოსილმა პირებმა, ხელი მოვაწერეთ წინამდებარე შესწორებას ამ დოკუმენტის თავში მითითებულ თარიღზე და შესწორება ძალაში შედის ამ დოკუმენტის პირობების შესაბამისად.

„ათასწლეულის გამოწვევის  
კორპორაცია“, ამერიკის შეერთებული  
შტატების სახელით:

საქართველოს მთავრობა:

სახელი და გვარი: ჯონ ჯ. დანილოვიჩი  
თანამდებობა: აღმასრულებელი დირექტორი

სახელი და გვარი: გრიგოლ მგალობლიშვილი  
თანამდებობა: საქართველოს პრემიერ-მინისტრი

ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეშვეობით მოქმედ  
ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს მთავრობას  
შორის დადებული ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის  
პირველი შესწორების ხელმოწერების გვერდი

დანართი I

კომპაქტის II დანართის ა ჩანართის დამატება

დამატებითი დაფინანსება						
კომპონენტი	1-ლი წელი	მე-2 წელი	მე-3 წელი	მე-4 წელი	მე-5 წელი	ჯამი:
(მილიონი აშშ დოლარი)						
1. რეგიონული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი						
(ა) გზების რეაბილიტაციის პროექტის საქმიანობა	არ გამოიყენება	არ გამოიყენება	3.00	18.00	39.00	60.00
(ბ) რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის საქმიანობა	არ გამოიყენება	არ გამოიყენება	1.30	7.80	16.90	26.00
(გ) ურბანული რეაბილიტაციის პროექტის საქმიანობა	არ გამოიყენება	არ გამოიყენება	0.65	3.90	8.45	13.00
ქვეჯამი	არ გამოიყენება	არ გამოიყენება	4.95	29.70	64.35	99.00
4. პროგრამის ადმინისტრირება და კონტროლი						
(დ) ფისკალური და შესყიდვების საკითხების მართვა	არ გამოიყენება	არ გამოიყენება	0.20	0.40	0.40	1.00
მილიტარული MCC-ს სახარაშრო მხდატანა	არ გამოიყენება	არ გამოიყენება	5.15	30.10	64.75	100.00